საქართველოს მთავრობის

დადგენილება №164

2014 წლის 14 თებერვალი

ქ. თბილისი

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველო

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია

სარჩევი

1. მიზანი 4
2. შესავალი 5
3. არსებული მდგომარეობა 8
3.1. ქიმიური უსაფრთხოების სფერო 8
3.2. ბიოლოგიური უსაფრთხოების სფერო 9
3.3. რადიაციული უსაფრთხოების სფერო 12
3.4. ბირთვული უსაფრთხოების სფერო 14
4. ქვეყნის წინაშე ქბრბ უსაფრთხოების სფეროში მდგარი გამოწვევები 17
5. ძირითადი მიმართულებები 18
5.1. პრევენცია 18
5.2. გამოვლენა 21
5.3. მზადყოფნა 22
5.4. რეაგირება 23
5.5. საერთაშორისო თანამშრომლობა 25
6. დასკვნითი დებულებები 26

1. <u>მიზანი</u>

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, სტრატეგიულ დონეზე საქართველოს წინაშე მდგარი ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირება და გამოწვეული ზიანის შემსუბუქება.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნულ სტრატეგიაზე (შემდგომში, ქბრბ სტრატეგია) დაყრდნობით, შესაძლებელი გახდება საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირება, შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, არსებული შესაძლებლობების განვითარება და, საჭიროების შემთხვევაში, ახლის ჩამოყალიბება, მატერიალური და ფინანსური რესურსების სწორი გადანაწილება და ა.შ.

დოკუმენტის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ქვეყნის მასშტაბით ქბრბ საფრთხეებისადმი ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ქბრბ ინციდენტების მართვის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა პრევენცია, გამოვლენა, მზადყოფნა და რეაგირება.

2. შესავალი

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ქბრბ სფეროში ერთიანი ხედვის შემუშავება, რათა მოხდეს შესაბამისი საფრთხეებისა თუ გამოწვევებისადმი სახელმწიფოს ძალისხმევის კონსოლიდაცია.

ქბრბ საფრთხეების კუთხით, საქართველო და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონი საკმაოდ არასტაბილურია. სომხეთში განთავსებულია ატომური ელექტროსადგური, რომელიც მოძველებული ტექნოლოგიებისა და სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობის გამო გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს. ქვეყნისა და რეგიონის ტერიტორიაზე განთავსებულია მრავალი მიტოვებული/უკონტროლო ობიექტი, სადაც დღესაც შესაძლოა მოიპოვებოდეს რადიოაქტიური თუ ქიმიური საფრთხის შემცველი ნივთიერებები. აქედან გამომდინარე, უნდა განიხილებოდეს როგორც ქვეყნის შიდა, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარედან მოსალოდნელი საფრთხეები.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე, ქვეყანაში მატულობს მგზავრთა ნაკადი და ტვირთბრუნვა. ეს კი, თავის მხრივ, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფების დაინტერესების საფუძველს წარმოადგენს. საქართველოში ბირთვული მასალისა და რადიოაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდის მცდელობის რამდენიმე ფაქტია დაფიქსირებული. აღნიშნული ფაქტები გამოვლინდა როგორც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე დამონტაჟებული დეტექტორების მეშვეობით. რეგიონი გარკვეული ტიპის განსაკუთრებით საშიში პათოგენებისთვის ენდემურ არეალს წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში და რეგიონში მნიშვნელოვანია ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ბიოუსაფრთხოების თემატიკაზე.

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგად საგრძნობლად დაბინძურდა შავი ზღვისპირეთი, რომელიც საბჭოთა ექსპერტების მიერ შეფასდა, როგორც ერთ–ერთი ყველაზე დაბინძურებული ადგილი ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე. მათივე მონაცემებით, რადიაციული ფონი მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლხეთის დაბლობსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. საქართველოში რადიოაქტიურ დაბინძურებებს ლაქების ხასიათი ჰქონდა.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული თემატიკა აქტუალურია საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს ევროატლანტიკური კურსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქბრბ საფრთხეებთან დაკავშირებული ნატო–ს,

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. მხარეების თანამშრომლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის მოლაპარაკებების ფარგლებში აღნიშნული საკითხების აქტიური განხილვა და მათი მხრიდან გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. მაგალითად, აშშ–ის თავდაცვის დეპარტამენტის დაფინანსებით, საქართველოში ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის მქონე ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის მშენებლობა (რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი), რომელიც მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მომსახურებაზეა გათვლილი და მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს.

აღსანიშნავია აშშ-სა და ევროკავშირის დახმარებით შექმნილი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტეგრირებული ლაბორატორიების ქსელი, რომლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სწორედ ბიოლოგიურ საფრთხეებზე სწრაფი რეაგირება წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ნატო-ს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის (EADRCC) ეგიდით საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო სწავლება. აღსანიშნავია ევროკავშირის ინიციატივის „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრები“ (EU CBRN Risk Mitigation Centers of Exellence) ფარგლებში, საქართველოში, კერძოდ, შსს-ს აკადემიის ტერიტორიაზე შესაბამისი რეგიონული სამდივნოს განთავსება. სამდივნოს ფარგლებში იქმნება სასწავლო რესურს-ცენტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება ქბრბ უსაფრთხოების სასწავლო პროგრამებზე.

ქბრბ ინციდენტები საზიანოა როგორც გარემოს, ასევე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ისინი საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას, მოსახლეობაში იწვევენ პანიკასა და შიშს. ქბრბ ინციდენტების შესაძლო სცენარებია: ტოქსიკური ქიმიკატებით ან ბიოლოგიური აგენტებით გარემოს, კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის დაბინძურება; მცენარეებისა და ცხოველების ინფიცირება; აირადი ქიმიკატებისა და ბიოლოგიური აგენტების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და ტრანსპორტში გაშვება; ქიმიური წარმოების ობიექტების დაზიანება; რადიოაქტიური ნივთიერებების ან რადიაციის გამბნევი მოწყობილობის (ე.წ. „ბინძური“ ბომბის) ბოროტად გამოყენების შედეგად, მოსახლეობის დასხივება და სხვა. ამასთან, ქბრბ საფრთხეები შეიძლება წარმოიქმნას ბუნებრივი გარემოებების, შემთხვევითი/ადამიანური ფაქტორისა და კრიმინალური ქმედების გზით. ქბრბ ინციდენტის წარმოქმნის შემდეგ, საკმაოდ

რთულია იმის დადგენა, თუ რომელი ზემოთ ხსენებული ფაქტორი გახდა მისი წარმოქმნის მიზეზი. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სტრატეგია იყენებს საერთო მიდგომას ქბრბ საფრთხეების მიმართ.

დღესდღეობით, ფართომასშტაბიანი ქბრბ ინციდენტის წარმოქმნის შემთხვევაში, საქართველოში არ არსებობს მასზე რეაგირების რესურსი, საექსპერტო ცოდნა და შესაბამისი მექანიზმები. ფართომასშტაბიანი ინციდენტი სცდება ერთი უწყების კომპეტენციას და მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას, უსაფრთხოების სათანადო ზომებისა და შედეგების აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების გათვალისწინებით.

ამ დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენს პირველ მცდელობას, რათა მოხდეს ერთობლივი მიდგომებისა და ძალისხმევის ჩამოყალიბება სამთავრობო სტრუქტურებს, საერთაშორისო პარტნიორებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. უსაფრთხოების სწრაფად ცვალებადი გარემოს გათვალისწინებით, სტრატეგია ვერ იქნება სტატიკური სახის დოკუმენტი და შესაბამისად, დროისა თუ მოვლენების ცვალებადობასთან ერთად, შესაძლოა გარკვეული მოდიფიკაცია განიცადოს. საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო ღრმა და კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს, თუმცა წინამდებარე დოკუმენტში განხილულია მოცემული ეტაპისთვის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ სფეროებში არსებული უმთავრესი ნაკლოვანებები და ქბრბ საფრთხეების შემცირების ძირითადი მიმართულებები, მიზნები/პრიორიტეტები და გასატარებელი ღონისძიებები.

3. <u>არსებული მდგომარეობა</u>

3.1. ქიმიური უსაფრთხოების სფერო

ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქიმიური საფრთხეების მიმართ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების მსგავსად, საჭიროა აღნიშნულ მიმართულებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამოკვლევა, გამოვლენილი საჭიროებებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრისა და შესაბამისი ქმედებების განსაზღვრის მიზნით. ამ სფეროში ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ქიმიური უსაფრთხოების დაცვის სფეროსთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოს შემუშავების ამჟამად მიმდინარე პროცესი.

ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად გამოვლენილ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, მათი წარმოშობის ფაქტორების გათვალისწინებით. საქართველოში ბუნებრივი, კრიმინალური თუ შემთხვევითი ხასიათის მქონე ქიმიური ინციდენტების პრევენციის, აღმოფხვრისა და მათზე ეფექტიანი რეაგირებისთვის, შესაბამის უწყებებში უნდა გაძლიერდეს არსებული და, საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნას ახალი შესაძლებლობები.

არსებული მდგომარეობით, საქართველოში ქიმიური უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირება და პრევენცია სხვადასხვა სამინისტროსა თუ უწყების კომპეტენციაში შედის, ხოლო რაც შეეხება კანონმდებლობას, საქართველოს ქიმიური უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება გაერო–ს უშიშროების საბჭოს №1540 რეზოლუციასა და საერთაშორისო კონვენციებს (მაგალითად, როტერდამის კონვენცია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, პარიზის კონვენცია „ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ“, სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“, ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების გადაზიდვებისა და მათი განთავსების შესახებ“).

გამოწვევებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებები. შესამუშავებელია ქიმიური უსაფრთხოების თემატიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ნორმები.

ქვეყანაში ქიმიური მრეწველობის არსებობა გარკვეულწილად ქმნის ქიმიური ინციდენტების წარმოქმნის საშიშროებას. მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (განსაკუთრებით, ღია წესით) ტექნოგენური ინციდენტების მძლავრი პოტენციური წყაროა. ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული მიტოვებული ობიექტები. მათზე არასათანადო კონტროლის გამო, შესაძლებელია ქიმიური საფრთხის შემცველი ნივთიერებებით გარემოს დაბინძურება (მაგ: გაჟონვა) ან/და მათი მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. მსგავსი ადგილებიდან მოპოვებული ნივთიერებების გავრცელება შესაძლოა სერიოზული საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. ამასთანავე, საქართველოში არ განხორციელებულა ზემოხსენებული პოტენციური საფრთხის შემცველი ადგილების სრული აღრიცხვა. არსებობს მხოლოდ ცალკეული ადგილების რუკები, რომელთა შედგენა მოხდა სხვადასხვა პროგრამის ან გრანტის ფარგლებში. აღნიშნული რუკები არასრულყოფილი და ფრაგმენტულია. ამავდროულად, ისინი თითქმის არ შეიცავს მონაცემებს ქიმიური დაბინძურების კერების შესახებ.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს გვამური მასალის, მჟავების, ტუტეების და კონტეინერების უტილიზაციასთან დაკავშირებული შეფერხებები, რაც გამოწვეულია საქართველოში შესაბამისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების მქონე დაწესებულებების სიმცირის ან საერთოდ არარსებობის გამო.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან და გამოვლენილი ფაქტებიდან გამომდინარე, მაღალია ქიმიური ნივთიერებების/აგენტების კონტრაბანდით გამოწვეული საფრთხის ალბათობა.

3.2. ბიოლოგიური უსაფრთხოების სფერო

როგორც აღინიშნა, საქართველო და ზოგადად კავკასიის რეგიონი წარმოადგენს ენდემურ არეალს გარკვეული ტიპის განსაკუთრებით საშიში პათოგენებისათვის. შესაბამისად, ქვეყანაში და რეგიონში მნიშვნელოვანია ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ბიოუსაფრთხოებაზე. ეპიდემიის, ისევე როგორც პანდემიის, პოტენციალის მქონე ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხე საკმაოდ რეალურია და ხასიათდება მზარდი ტენდენციით. გარდა ამისა, ბიოლოგიური იარაღის შესაძლო გამოყენების შედეგად გავრცელებული ინფექციური დაავადებები, სულ მცირე, ისეთივე ზიანის მომტანია, როგორც ბუნებრივი გზით წარმოშობილი ინფექციები.

ცხოველების, ადამიანების და მათ გარშემო არსებულ ეკოსისტემას შორის ურთიერთქმედების შედეგად, წარმოიშობა ბიოლოგიური საფრთხის მატარებელი ინფექციური დაავადებები, რომელთა გავრცელება არის რამდენიმე ტენდენციის შედეგი, მათ შორის: მოსახლეობის და შინაური ცხოველების რაოდენობის ზრდა, ურბანიზაციის მაღალი დონე, სოფლის მეურნეობის სწრაფად ცვალებადი სისტემები, შინაურ ცხოველებსა და ცოცხალ ბუნებას შორის მჭიდრო ურთიერთქმედება, ცხოველებით და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობის გლობალიზაცია. პანდემიად გადაქცევის პოტენციალის მქონე ინფექციური დაავადებები შემაშფოთებელი სიხშირით ჩნდება და უმრავლესობა ზოონოზური წარმოშობისაა (ანუ ცხოველებიდან ადამიანებზე გადადის). უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, საქართველოს ჩათვლით, ზოონოზურმა დაავადებებმა 20 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია. არაპირდაპირმა ზარალმა მსოფლიოს მასშტაბით 200 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. შესაბამისად, ნათელია, რომ ზოონოზურ დაავადებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნან ქვეყნის კეთილდღეობას, ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე, იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბისაა ეპიდემია.

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება მცენარეთა დაავადებების გამომწვევი პათოგენების კვლევის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე. ქვეყანაში არ არსებობს სათანადო კონტროლი კარანტინზე, განსაკუთრებულ საშიშ პათოგენებსა და სხვა ბიოლოგიურ აგენტებზე, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც ბიოლოგიური იარაღი.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით აღებულ ვალდებულებებს (მაგ: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულირების ნორმები (2005); ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოების, მისი მარაგის შექმნისა და განადგურების შესახებ კონვენცია; გაერო-ს №1540 რეზოლუცია; აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ბიოლოგიური საფრთხის შემცირების ხელშეკრულება). ამის მიუხედავად, საჭიროა საკანონმდებლო დონეზე შესაბამისი სამინისტროების პასუხისმგებლობებისა და უფლება-მოვალეობების მკაფიო გამიჯვნა. საქართველოში ასევე დასახვეწია ბიოლოგიური უსაფრთხოების დაცვის ნორმები და პროცედურები რათა აღიკვეთოს მაღალპათოგენური ინფექციური აგენტების ან ბიოლოგიური საფრთხეების ზემოქმედება ადამიანებზე, ლაბორატორიებზე და გარემოზე მათი გაყიდვის, მართლსაწინააღმდეგო

დაუფლების ან რაიმე სხვა გზით გარემოში მოხვედრის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმები და პროცედურები უნდა მოიცავდეს აღმკვეთი სისტემებისა და მეთოდების კომბინაციას, ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მოთავსებული საფრთხის შემცველი პათოგენებისა და ტოქსინების ბოროტი განზრახვით გამოყენების წინააღმდეგ. ნორმები უნდა ითვალისწინებდნენ საბაჟო სამსახურისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის წარმომადგენლების ფუნქციებსა და მოვალეობებს ბიოლოგიური აგენტების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ბუნებრივ, ისე ადამიანის მიერ კონტროლირებად გარემოში. ამასთან, ბიომეცნიერების არამიზნობრივი გამოყენების პოტენციალის შემცირების მიზნით, საჭიროა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის, ცნობიერებისა და სიფრთხილის გასამყარებლად, რომლებიც იღებენ სარგებელს ბიომეცნიერებისა და ჯანდაცვის ტექნოლოგიების გამოყენებით.

მიზანშეწონილია შესაბამისი უწყებების მიერ ქვეყანაში ჯანმრთელობის უსაფრთხოების გაძლიერება, რაც გულისხმობს ინფექციური დაავადებების დროულად გამოვლენის, დიაგნოსტიკის, ანგარიშგების, შემდგომი რეაგირების შესაძლებლობების განვითარებას, დაავადებების გამომწვევი მიზეზების მიუხედავად.

აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა მათ უზრუნველყონ დანაშაულებრივი მიზნების მქონე პირების გამოვლენა და, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი დევნის განხორციელება. მნიშვნელოვანია ბიოლოგიური მეცნიერებების ბოროტად გამოყენების პოტენციალის შემცირებაც, რაც გულისხმობს აღნიშნულ სფეროში ცოდნის გაღრმავებასა და რეგულირების/კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას.

ბიოლოგიური საფრთხის შემცირებისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია კომუნიკაციის არსებობა/განსაზღვრა იმ სახელმწიფო უწყებებსა და სამსახურებს შორის, რომელთა პასუხისმგებლობაშიც შედის ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ასევე, აუცილებელია მსგავსი ფორმალური არხების დადგენა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, აკადემიურ წრეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნესსექტორსა და მედიასთან.

დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმებს და გამიჯნავს პასუხიმგებელი უწყებების უფლება-მოვალეობებს ბიოლოგიური საფრთხის შემცველ პათოგენებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო პარტნიორებთან ეფექტიანი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანა სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ანგარიშგების შესახებ არსებულ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულირების ნორმების (IHR) მიხედვით, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OiE) რეკომენდაციებს, ბიოლოგიური იარაღის კონვენციის ნდობის აღდგენის ზომებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1540-ე რეზოლუციის მოთხოვნებს.

3.3. რადიაციული უსაფრთხოების სფერო

ადამიანის საარსებო გარემოს ერთ-ერთი პარამეტრია გარემოს რადიაციული ფონი, რომელიც წარმოადგენს კოსმოსური გამოსხივებისა და ნიადაგში არსებული ბუნებრივი რადიონუკლიდებიდან (კალიუმი, რადიუმი, ურანი, თორიუმი და სხვა) წარმოქმნილი გამოსხივების ჯამურ მნიშვნელობას დედამიწის კონკრეტულ არეალში. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან, გარემოს რადიაციული ფონი პერიოდულად იცვლება, რაც ძირითადად განპირობებულია ბირთვული იარაღის გამოცდით, ასევე, მსოფლიოში ბირთვული ტექნოლოგიების ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებული ინციდენტებით, ავარიებით და კატასტროფებით.

მოსახლეობის სხივურ დატვირთვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამშენებლო მასალებად ნიადაგის ქანებიდან ამოღებული ნედლეულის (თიხა, კირქვა, ბაზალტი, გრანიტი, ტუფი და ა.შ.) გამოყენებას, ასევე სხვა წიაღისეულის (ნავთობი, ქვანახშირი და სხვა) ინტენსიურ მოპოვებას, რის შედეგადაც დედამიწის სიღრმეში არსებული ბუნებრივი რადიოაქტიური ნივთიერებები „გადმოინაცვლებს“ დედამიწის ზედაპირზე, ანუ ადამიანის საარსებო გარემოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალური ხდება საშენი მასალების, ასევე, წიაღისეულის მოპოვების არეალების კონტროლი რადიოაქტიურ დაბინძურებაზე და პერსონალის რადიაციული მონიტორინგი.

დასახვეწია რადიაციული უსაფრთხოების ნორმები და მოთხოვნები სამედიცინო დასხივების სფეროში. აღნიშნული განპირობებულია სამედიცინო სფეროში ბირთვული და რადიაციული ტექნოლოგიების გამოყენების ტემპების მნიშვნელოვანი ზრდით და ამ სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებით, რაც მოითხოვს კომპეტენციების პერმანენტულ სრულყოფას მარეგულირებელი სტრუქტურების მხრიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარემოს ფონური რადიაციული მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება, თუმცა მიზეზთა გამო ვერ ხერხდება სრული და კომპლექსური დაკვირვება. მონაცემთა ანალიზი ზედაპირული და არასრულია, არსებული ტექნიკური საშუალებების არასწორი მართვის, არამიზნობრივი გამოყენებისა და ნაკლებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ (IAEA) მხარი დაუჭირა საქართველოში რადიაციის ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვას. სისტემა შეიცავს ქსელის მონიტორინგის ცენტრსა და სადგურებს.

მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს კრიმინალისტიკური შესაძლებლობების სისუსტე რადიაციული ექსპერტიზის დარგში. ამჟამად, კრიმინალისტიკური დასკვნა პორტატიული რადიაციული დეტექტორების მეშვეობით აღმოჩენილი საფრთხის ან სამართალდამცავების მიერ ამოღებულ საეჭვო ნივთიერებების შესახებ სრულად ვერ გაიცემა, ან საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს.

აღსანიშნავია საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გასვლის შედეგად წარმოქმნილი ე.წ. „უპატრონო“ რადიოაქტიური წყაროების, ასევე, ყოფილი საბჭოთა ინდუსტრიის ნგრევის შედეგად გაუქმებული, მიტოვებული და განადგურებული საწარმოების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სამკურნალო დაწესებულებების კუთვნილი რადიოაქტიური წყაროების მოძიება, მათი დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გასული დეკადის განმავლობაში, ზემოაღნიშნული წყაროების დიდი უმრავლესობა იდენტიფიცირებულია და უსაფრთხოდაა განთავსებული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის სათანადო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის აღდგენასა და სწორი მართვის განხორციელებას.

საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ტრანზიტის რისკი. შესაბამისად, სახელმწიფო საზღვრისა და საზღვაო სივრცის დაცვის, ასევე, სასაზღვრო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ამ მიმართულების განვითარებისთვის არაერთი მნიშნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა რჩება გარკვეული ნაკლოვანებები, რაც საჭიროებს სათანადო რეაგირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ღია, მაგრამ

კონტროლირებადი და უსაფრთხო საზღვრების პრინციპის დაცვა. ასევე, დიდ ყურადღებას მოითხოვს ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების შესაძლო კრიმინალურ მიმოქცევაზე კონტროლი ქვეყნის შიგნით.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უკონტროლო სიტუაცია, ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე უარყოფით გავლენასთან ერთად, ნოყიერ ნიადაგს უქმნის კონტრაბანდისა და სხვადასხვა სახის ტრანსსასაზღვრო დანაშაულების ზრდას, მათ შორის, ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო ტრანსპორტირებას სახმელეთო და საზღვაო გზებით. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის აკვატორია აქტიურად გამოიყენება არალეგალური ტვირთბრუნვისათვის, რაც აადვილებს სხვადასხვა ტიპის ნივთიერებებისა თუ მასალების, მათ შორის, ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელებას.

3.4. ბირთვული უსაფრთხოების სფერო

ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს თავისი შინაარსისა და მსოფლიოში მისი აქტუალურობის გათვალისწინებით. მართალია, საქართველოში არ არსებობს ბირთვული ინდუსტრია, თუმცა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება ამგვარი ნივთიერებების, მასალების, წყაროების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების ტრანზიტისთვის. გარდა ამისა, რეგიონის ქვეყნების ერთ ნაწილს (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, სომხეთი, ირანი) უკვე გააჩნია კარგად განვითარებული ბირთვული ინდუსტრია. აქედან გამომდინარე, ბირთვული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნებისმიერი სახის ბირთვულ ინციდენტს ნეგატიური შედეგი ექნება არა მარტო იმ ქვეყნისთვის, სადაც ეს ინციდენტი წარმოიშობა, არამედ მოსაზღვრე ქვეყნებისა და რეგიონში არსებული მეზობელი სახელმწიფოებისთვისაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საჭირო ზომების მიღება ბირთვულ საფრთხეებზე მზადყოფნისა და რეაგირების კუთხით.

ქვეყანაში ან მის საზღვრებთან არსებულ პოტენციურ თუ კონკრეტული მომენტისთვის წარმოქმნილ ბირთვულ საფრთხეებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის, აუცილებელია პასუხისმგებელი უწყებების და პარტნიორი სააგენტოების შესაძლებლობებისა და კოორდინაციის მექანიზმების გაძლიერება, ისევე, როგორც

მჭიდრო, მუდმივი თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან.

ამჟამად, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების განსაზღვრა შედის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის კომპეტენციაში, ხოლო აღნიშნულ საფრთხეებზე რეაგირებას ახორციელებენ სხვადასხვა სამინისტროს შესაბამისი უწყებები.

საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, გაეროს უშიშროების საბჭოს №1540 რეზოლუციას, ასევე, შიდა კანონმდებლობას, რომლიდანაც უმთავრესია საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, საქართველო აგრეთვე მიერთებულია ათამდე საერთაშორისო კონვენციას.

დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი რეგულაციები. დღეისათვის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საქართველოში მოქმედებს მხოლოდ ერთი კანონი („ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“), რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო კონვენციებსა და მოთხოვნებთან. მიუხედავად ამისა, მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არასრული და მოძველებულია. საჭიროა მათი შეცვლა და ახალი ნორმატიული აქტების შემუშავება (მაგალითად, ისეთი აქტების შემუშავება, რომლებიც დაარეგულირებენ ბირთვული და რადიაციული მასალების ტრანსპორტირების, ბირთვული და რადიაციული მასალების აღრიცხვისა და შენახვის, მედიცინაში მათი გამოყენების, რადიაციული ნარჩენების მენეჯმენტის, მოსახლეობისა და პერსონალის დასხივების ზღვრული ნორმების შესახებ საკითხებს და სხვა).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაკავშირებულია გარემოს რადიოაქტიური დაბინძურების დეტალური რუკის შექმნასთან. საქართველოში ეს პრობლემა, ძირითადად, უკავშირდება ყოფილ სამხედრო ბაზებს, საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო-კვლევით ინფრასტრუქტურას, ამავე პერიოდის ინდუსტრიულ ობიექტებს და ჩერნობილის ავარიის შედეგებს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს პრობლემა სხვა სფეროებშიც არსებობს. დღემდე არსებობს მხოლოდ ცალკეული ადგილების რუკები. ისინი, როგორც წესი, შედგენილია კონკრეტული პროგრამების ან გრანტების ფარგლებში და შეიცავენ ფრაგმენტულ, არასრულყოფილ ინფორმაციას.

შესაქმნელია ქვეყნის რადიაციული მონიტორინგის პროგრამა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ტერიტორიულ პრინციპს და რადიაციული დაბინძურების რუკას. პროგრამის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს რადიაციული მონიტორინგის შედეგების ანალიზი და საჭირო ღონისძიებების განხორციელება, რადიოაქტიურად დაბინძურებული კერების რემედიაციისა და შემდგომი მონიტორინგის მიზნით.

პერმანენტული წვრთნებისა და სწავლებების მიუხედავად, განვითარებასა და დახვეწას საჭიროებს ცალკეული უწყებების საგანგებო მოქმედების გეგმები, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დარგთაშორისი და უწყებათაშორისი მოქმედებების კოორდინაციას. აუცილებელია, სწავლებებში შესაბამისი უწყებების ყველა დონის წარმომადგენლების ჩართვა, საჭიროა მათი გაფართოება და რეგულარული ჩატარება.

4. ქვეყნის წინაშე ქბრბ უსაფრთხოების სფეროში მდგარი გამოწვევები

ქბრბ უსაფრთხოების სფეროს შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო თუ კერძო პირების ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ქბრბ უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია მუდმივი განახლების, ცვლილებებისა და ინოვაციების დანერგვის გარეშე. აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირებასთან, მდგომარეობის დეტალურ შესწავლასა და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვასთან. მაშასადამე, ქბრბ უსაფრთხოების შესაძლებლობების ანალიზი და ნაკლოვანებების განსაზღვრა – წარმატებული პრევენციისა და საჭიროების შემთხვევაში, ქმედითი რეაგირების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. არსებული მდგომარეობით, იკვეთება ქბრბ უსაფრთხოების სფეროში შემდეგი საერთო გამოწვევები:

- ქბრბ უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობის სრული და ყოვლისმომცველი შეფასების არარსებობა;
- ქბრბ საკითხებთან დაკავშირებით დასახვეწი საკანონმდებლო ბაზა;
- ქბრბ ინციდენტებზე ერთობლივი რეაგირების სამოქმედო გეგმების ნაკლოვანება;
- ქბრბ უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უწყებების/ დანაყოფების კოორდინაციის ნაკლებობა;
- ქბრბ საფრთხეებზე საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა;
- მაღალი რისკის მქონე ქბრბ ნივთიერებებისა და მასალების ნუსხის არარსებობა;
- ქბრბ უსაფრთხოების სფეროში ჩართული პირების არასათანადო კვალიფიკაცია;
- არსებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების სიმწირე;
- ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ქბრბ საფრთხის შემცველი ობიექტების არასრული აღრიცხვა და კონტროლი;
- ქბრბ ობიექტების, ნივთიერებების/მასალების არასათანადო უსაფრთხოება;

- საფრთხის შემცველი ქბრბ მასალების უტილიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობა;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა;
- ტრანსნაციონალური დანაშაული.

5. <u>ძირითადი მიმართულებები</u>

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება და ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც განამტკიცებენ და უზრუნველყოფენ პასუხისმგებელი უწყებების/დანაყოფების მუდმივ მზადყოფნასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნულის განხორციელებისას, ქბრბ ინციდენტებისა და მათი შედეგების მინიმიზაციის მიზნით, ყურადღება უნდა დაეთმოს პრევენციის, გამოვლენის, მზადყოფნისა და რეაგირების მექანიზმების დახვეწას. ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა შეიქმნას კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სადაც ყურადღება გამახვილდება ქვემოთ მოყვანილ პრიორიტეტებზე.

5.1. პრევენცია

პრევენციის მიზანია წინასწარი ღონისძიებების გატარება ქბრბ საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით. პრევენციული ზომების გატარება უზრუნველყოფს ქბრბ ელემენტებზე უკანონო წვდომის მაქსიმალურ შეზღუდვას და ადამიანური, კრიმინალური თუ ბუნებრივი ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების თავიდან აცილებას. პრევენციული ზომები ქბრბ უსაფრთხოების ქვაკუთხედს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება დაეთმოს არსებული ნაკლოვანებების გამოვლენასა და რისკების შეფასებას, რაც შემდგომში ქბრბ უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების საფუძველიც გახდება. ამრიგად, პრევენციის კუთხით მიზნები/პრიორიტეტებია:

- **ქბრბ სფეროში არსებული პრობლემების დეტალური ანალიზი, ქბრბ საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვის მიზნით**
    - ✓ უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს ქბრბ-ს მიმართულებით ქვეყანაში არსებული ვითარების კომპლექსური შესწავლა,

აპრობირებული მეთოდიკისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

- **ქბრბ საფრთხის შემცველი ობიექტების აღრიცხვა, რუკების შედგენა და მუდმივი განახლება**
  - ✓ ქბრბ საფრთხის შემცველი ობიექტებისა და ადგილების (მოქმედი, მიტოვებული, მათ შორის, ქბრბ ნივთიერებების სამარხები და სხვა) სრული აღრიცხვისა და მათი რუკების შედგენაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნა.

- **მაღალი რისკის მქონე ქბრბ ნივთიერებებისა და მასალების ნუსხის შემუშავება/რეგულარული განახლება**
  - ✓ ქბრბ ნივთიერებების/მასალების იდენტიფიცირება;
  - ✓ იდენტიფიცირებული ქბრბ ელემენტების ბოროტი მიზნებისთვის გამოყენების პოტენციალის დადგენა;
  - ✓ ქბრბ ნივთიერებებსა და მასალებზე წვდომის, მათ შორის, მათი დაკარგვისა და არაკანონიერი დაუფლების რისკების განსაზღვრა.

- **ქბრბ ობიექტებისა და ნივთიერებების/მასალების უსაფრთხოების უზრუნველყოფა**
  - ✓ ქბრბ ობიექტებზე უსაფრთხოებისა და დაცვის ზომების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
  - ✓ სათანადო უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტების, ასევე, შესაბამისი გეგმების შემუშავება;
  - ✓ ქბრბ ობიექტების სათანადო უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვა;
  - ✓ ქბრბ ნივთიერებების/მასალების უსაფრთხო შენახვისა და მათთან უსაფრთხო მუშაობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
  - ✓ ქბრბ ობიექტებზე, ნივთიერებებზე/მასალებზე სათანადო კონტროლის განხორციელება, გარემოში მათი მოხვედრის ან/და მართლსაწინააღმდეგო დაუფლების/გამოყენების პრევენციის მიზნით;
  - ✓ საჭიროების შემთხვევაში, ქბრბ ობიექტების დაკომპლექტება შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში უფლებამოსილი პერსონალით;
  - ✓ სამართალდამცავთა მიერ ქბრბ ობიექტების პერსონალის პოტენციური საფრთხეების შესახებ ინფორმირება;

- ✓ ქბრბ ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი.

- **ქბრბ ობიექტებზე და ნივთიერებებთან/მასალებთან მომუშავე პერსონალის რეგულარული კონტროლი**
  - ✓ ქბრბ ნივთიერებებთან/მასალებთან და ობიექტებზე მომუშავე პერსონალის დაშვების კრიტერიუმებისა და პროცედურების განსაზღვრა;
  - ✓ ქბრბ ნივთიერებებთან/მასალებთან და ობიექტებზე მომუშავე პერსონალის შემოწმება/გადამოწმება და რეგულარული შეფასება.

- **ქბრბ ობიექტებზე და ნივთიერებებთან/მასალებთან მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბება**
  - ✓ სავალდებულო ინსტრუქციებისა და სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შემუშავება;
  - ✓ პერსონალის (მათ შორის, დაცვის პერსონალის) შესაბამისი მომზადება/გადამზადება;
  - ✓ საეჭვო საქციელისა და ტრანზაქციების იდენტიფიცირებისა და შეტყობინების მექანიზმების შემუშავება.

- **ქვეყნის ტერიტორიაზე ქბრბ ნივთიერებების/მასალების ტრანსპორტირების უსაფრთხოება**
  - ✓ ქბრბ ნივთიერებების/მასალების ტრანსპორტირების და ტრანსპორტირებაში ჩართული პირებისთვის უსაფრთხოების სტანდარტების განსაზღვრა;
  - ✓ ქბრბ ნივთიერებების ადგილმდებარეობის დადგენის სისტემების დანერგვა;
  - ✓ ქბრბ ნივთიერებების გადამზიდველებსა და სამართალდამცავებს შორის თანამშრომლობის განვითარება.

- **საქართველოს ტერიტორიაზე და მისი გავლით ქბრბ ნივთიერებების/მასალების გავრცელების (პროლიფერაცია) პრევენცია**
  - ✓ სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის, ასევე, საზღვაო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
  - ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება;

- ✓ მეზობელ და სხვა სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- ✓ საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

- **საკანონმდებლო ბაზის დახვეწა**
  - ✓ ქბრბ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ბაზის შეფასება/შესწავლა;
  - ✓ ქბრბ კუთხით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და ეროვნული ქბრბ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

5.2. გამოვლენა

გამოვლენა მნიშვნელოვანი ქმედებაა, ქბრბ ინციდენტებზე შესაბამისი რეაგირების თვალსაზრისით, ვინაიდან მის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული ინციდენტის დროს გამოყენებული ნივთიერებების დადგენა. გამოვლენა პრევენციის აუცილებელი წინაპირობაც არის. გამოვლენის ეფექტიანობა ასევე დამოკიდებულია მასში ჩართული ყველა მონაწილის, მათ შორის, საჯარო და კერძო სექტორების, მჭიდრო თანამშრომლობაზე. აუცილებელია გამოვლენის თანამედროვე საშუალებების (ან მინიმალური სტანდარტების დონის) განთავსება ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებზე ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტზე, რადგანაც პოტენციური ქბრბ მავნე ელემენტების დროული და ზუსტი იდენტიფიცირება ეფექტიანი რეაგირების და ადამიანთა ჯანმრთელობის/სიცოცხლის გადარჩენის წინაპირობაა. ამრიგად, გამოვლენის კუთხით მიზნები/პრიორიტეტებია:

- **გამოვლენის მექანიზმების დახვეწა**
  - ✓ შესაძლო ქბრბ ინციდენტების სცენარების შემუშავება;
  - ✓ აღნიშნული სცენარების ანალიზის საფუძველზე მონიტორინგისა და გამოვლენის მეთოდოლოგიის, სტანდარტებისა და სისტემის განსაზღვრა/ჩამოყალიბება;
  - ✓ ეფექტიანი გამოვლენისთვის ქბრბ ნივთიერებების/მასალების რეფერალური ნიმუშების შექმნა;
  - ✓ შესაბამისი უწყებების, განსაკუთრებით, პირველადი მორეაგირეების, უზრუნველყოფა გამოვლენისთვის აუცილებელი აღჭურვილობითა და შესაბამისი სახელმძღვანელოებით;

- ✓ ქბრბ კუთხით სპეციალიზებულ, რეფერალურ და კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

- **სახელმწიფო საზღვარზე ქბრბ უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება**
  - ✓ სახმელეთო საზღვრებზე და სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, ასევე, საზღვაო სივრცეში არსებული ქბრბ უსაფრთხოების ზომების შეფასება;
  - ✓ სახმელეთო საზღვრების და სასაზღვრო გამტარი პუნქტების, ასევე, საზღვაო სივრცის დაცვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი უწყებების ქბრბ ნივთიერებების/მასალების აღმოჩენის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
  - ✓ ქბრბ გამოვლენის შესაძლებლობების გაუმჯობესება აეროპორტებში, საზღვაო პორტებსა და „მწვანე“ საზღვარზე;
  - ✓ საზღვაო სივრცისა და „მწვანე“ საზღვრის მონიტორინგისა და პატრულირების გაუმჯობესება;
  - ✓ სტანდარტული ოპერატიული პროცედურებისა და ინსტრუქციების შემუშავება.

5.3. მზადყოფნა

მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა ქბრბ ინციდენტებზე დროული რეაგირების წინაპირობას წარმოადგენს. მზადყოფნისთვის აუცილებელია კვალიფიციური ადამიანური რესურსებისა და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების არსებობა. ამრიგად, მზადყოფნის კუთხით მიზნები/პრიორიტეტებია:

- **ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება**
  - ✓ ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების გეგმების (მათ შორის, მაღალი რისკის მქონე საზოგადოებრივ ადგილებსა და ღონისძიებებზე) არსებობის შესწავლა/შეფასება;
  - ✓ ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების, როგორც უწყებრივი (საჯარო და კერძო დაწესებულებები, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე), ასევე, უწყებათშორისი ერთობლივი რეაგირების გეგმების შემუშავება/დახვეწა;
  - ✓ შემუშავებულ გეგმებზე დაყრდნობით, ერთობლივი სწავლებებისა და ტრენინგების განხორციელება;
  - ✓ რეაგირების გეგმებსა და სწავლებებში გამოძიებისა და საექსპერტო კრიმინალისტიკის ელემენტების გათვალისწინება;

- ✓ ქბრბ ინციდენტებზე მორეაგირეებისთვის (განსაკუთრებით, პირველადი მორეაგირეები, როგორც საჯარო, ისე კერძო უწყებების წარმომადგენლები) შესაბამისი სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შემუშავება;
- ✓ ქბრბ ინციდენტებზე რეაგირებისთვის აუცილებელი აღჭურვილობის, ფარმაცევტული, სამედიცინო და სხვა საშუალებების მარაგების შექმნა;
- ✓ ყველა პასუხისმგებელი უწყების მოქმედების არეალისა და უფლებამოსილების შეფასება.

- **ქბრბ საექსპერტო-კრიმინალისტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება**
  - ✓ საექსპერტო-კრიმინალისტიკური კუთხით, მათ შორის, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ბირთვული და რადიაციული მიმართულებით, ქვეყანაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
  - ✓ ქბრბ საექსპერტო-კრიმინალისტიკაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

- **ქბრბ ინციდენტებზე საზოგადოების მზადყოფნის გაუმჯობესება**
  - ✓ ქბრბ ინციდენტებზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისთვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება;
  - ✓ საზოგადოების (განსაკუთრებით, ქბრბ ობიექტებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობის) ინფორმირება ქბრბ საფრთხის შემცველ ობიექტებზე, ადგილებსა და ნივთიერებებზე/მასალებზე და შეტყობინების სისტემების უზრუნველყოფა;
  - ✓ მოსახლეობის ინფორმირება მოსალოდნელი/მომხდარი ქბრბ ინციდენტისა და მისი მოსალოდნელი/დამდგარი შედეგის შესახებ.

5.4. რეაგირება

ქბრბ ინციდენტებზე რეაგირება უნდა იყოს დროული და ეფექტიანი. ამ მიმართულებით, აუცილებელია ქვეყანაში არსებული რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქბრბ ინციდენტებზე პასუხისმგებელი უწყებების კოორდინირებული რეაგირება. რეაგირების კუთხით მიზნები/პრიორიტეტებია:

- **ქბრბ ინციდენტის შემთხვევაში არსებული სიტუაციის შეფასება**

- ✓ ქბრბ ინციდენტის ანგარიშგების სისტემის შემოღება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე;
- ✓ არსებული ინფორმაციის დროული და სრული მიწოდება;
- ✓ კრიზისების მართვის ცენტრებისა და ქბრბ ექსპერტების კოორდინირებული თანამშრომლობა;
- ✓ მორეაგირე პერსონალის მიერ საფრთხის სწრაფი იდენტიფიცირებისა და მათი რეაგირების შესაბამისი პროტოკოლების სახელმძღვანელოთი უზრუნველყოფის მიზნით, სახიფათო მასალების მაიდენტიფიცირებელი დაფების საერთაშორისო სისტემის შემოღება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომლებიც აწარმოებენ სახიფათო მასალების ტრანსპორტირებას.

- **საჭირო რესურსებისა და შესაძლებლობების ამოქმედება**

  - ✓ კონკრეტული ქბრბ ინციდენტის აღმოფხვრისთვის, ადგილზე არსებული საშუალებების შეფასება;
  - ✓ ქბრბ ინციდენტზე რეაგირებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და შესაძლებლობების ჩართვა შესაბამის დონეებზე;
  - ✓ საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი/დამხმარე რესურსების მოთხოვნა.

- **რეაგირების ზომებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის კოორდინირება**

  - ✓ ქბრბ ინციდენტის დროს, პირველადი და აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა;
  - ✓ შესაბამისი ფუნქციების გადანაწილების მართვა კრიზისული სიტუაციის დროს.

- **შეუფერხებელი და ეფექტიანი კომუნიკაცია**

  - ✓ ზიანის თავიდან აცილებისა და შემცირების, ისევე როგორც საყოველთაო პანიკის თავიდან აცილების მიზნით, განვითარებული მოვლენების, უსაფრთხოების ზომების, გატარებული/გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საზოგადოების რეგულარული ინფორმირება ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით;

- ✓ უწყვეტი, დაცული და სწრაფი ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა პასუხისმგებელ და პარტნიორ სუბიექტებს შორის.

- **მომხდარი ქბრბ ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დადგენა და ზიანის შეფასება**

  - ✓ კომპეტენტური უწყებების, მათ შორის, სამართალდამცავი სტრუქტურების, წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნა;
  - ✓ მიზეზების დადგენის შემდგომ შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, სამართლებრივი დევნის, განხორციელება.

5.5. საერთაშორისო თანამშრომლობა

აუცილებელია პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ურთიერთობის გაგრძელება და მათი შემდგომი განვითარება (აშშ–ის მთავრობა, ევროკავშირი, რეგიონული თანამშრომლობა). ქბრბ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (OIE), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტო (IAEA), გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), ინტერპოლი და ა.შ.) აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაციის, კოორდინაციის, საერთო კვლევების ჩატარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობისთვის.

აღნიშნული თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანა სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ანგარიშგების შესახებ არსებულ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

ამასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქბრბ უსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალის რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით კვლევებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობაზე. მიზანშეწონილია, ქბრბ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ აპრობირებული საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო გამოცდილების (პრევენციის, გამოვლენის, მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში) იმპლემენტაცია;
- ✓ მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, ქბრბ საფრთხეების პრევენციის, გამოვლენის, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების მიზნით;
- ✓ ქბრბ თემატიკასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობა;
- ✓ ერთობლივი სწავლებებისა და ტრენინგების ორგანიზება;
- ✓ აუცილებლობის შემთხვევაში და მოთხოვნისთანავე, შესაბამისი ინფორმაციის გადაცემა ან მოთხოვნა;
- ✓ ქბრბ ელემენტების განახლებული სიის გაზიარება.

6. დასკვნითი დებულებები

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთ მთავარ სამოქმედო მიმართულებად იქცა. საქართველო, მისი ევროატლანტიკური კურსიდან გამომდინარე, აქტიურად ითანამშრომლებს ნატოს, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან და თავის წვლილს შეიტანს ქბრბ უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა რეგიონულ პროექტებში მონაწილეობასა და თანამშრომლობას. ამისათვის, მოხდება მსოფლიოში აპრობირებული საუკეთესო მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება. გარდა ამისა, საქართველო განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის გაკონტროლებისა და შესაბამისი რეაგირების კუთხით, შესაძლო კონტრაბანდის, ტრანსსასაზღვრო დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო ტრანსპორტირების აღსაკვეთად.

ამრიგად, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის მიზანია საქართველოს წინაშე მდგარი ქბრბ

საფრთხეების შემცირება, მათი პრევენცია, გამოვლენა, მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა და შესაბამისი რეაგირება.

დოკუმენტში განსაზღვრულია ქბრბ უსაფრთხოების თითოეული მიმართულებით დასახული მიზნები/პრიორიტეტები. აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე მოხდება შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც გაიწერება სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, განისაზღვრება პასუხისმგებელი უწყებები, შესრულების ვადები და ინდიკატორები.

ქბრბ კუთხით არსებული მდგომარეობის მუდმივი შესწავლისა და შეფასების, ახალი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების საფუძველზე, განხორციელდება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება.